საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№342 /28

2020 წელი, 13 აპრილი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 102-ე მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის წინადადების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრების: რატი იონათამიშვილის, სოფიო კილაძის, ანრი ოხანაშვილის, გურამ მაჭარაშვილის, ირაკლი მეზურნიშვილის, დავით მათიკაშვილის და ცოტნე ზურაბიანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის (№07-3/433, 12.02.2020) განხილვის ვადა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს (წამყვანი კომიტეტი) და იმ კომიტეტს, რომლის დასკვნაც უნდა ერთოდეს რეგლამენტის პროექტს, 2020 წლის 2 აპრილიდან შესაბამისად გაუგრძელდეთ ორი თვით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

არჩილ თალაკვაძე